სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 მარტი, 2026 წ.

ბრძანება № 01-10/30

„ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 14 ივლისის №01-10/89 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულება“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/07 გადაწყვეტილებით (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 10 აგვისტოს №01-01/38 გადაწყვეტილებით), „ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01–10/77 ბრძანების, „ბსუ-ში სახანძრო უსაფრთხოების დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აგვისტოს №01-10/95 ბრძანების, „ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საევაკუაციო გეგმების დამტკიცების შესახებ“ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 17 თებერვლის №01-10/18 ბრძანების, „ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საგანგებო მართვის გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 28 თებერვლის N01-02/44 ბრძანების, ბსუ-სა და სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის მთავარ სამმართველოს შორის 2025 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2 ხელშეკრულების, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2026 წლის 03 თებერვლის MES 5 26 0000109813 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 14 ივლისის №01-10/89 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები და დამატებები, კერძოდ ბრძანების N1 დანართის (წესი - სამუშაო აღწერილობა):**

ა) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საორგანიზაციო ღონისძიებებს, შეიმუშავებს სახანძრო უსაფრთხოების ზომებს, უზრუნველყოფს ხანძრის თავიდან აცილების და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის არსებული სისტემების გამართულობის და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის (სახანძრო ონკანების, ცეცხლმაქრების და სხვა საშუალებების) მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობის კონტროლს და გაუმართაობის შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილობით ინფორმირებას, პერსონალისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას, უნივერსიტეტში არსებული ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობებისა და დანადგარების, მათ ტექნიკურ დოკუმენტაციაში ხანძარსაშიშროების მაჩვენებლების შესახებ ცნობების აღრიცხვას და გამოყენებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების

დაცვაზე კონტროლს. ასევე აწესებს კონტროლს დაცვის თანამშრომლების მიერ წინამდებარე აღწერილობის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტში მოცემული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაზე.";

ბ) მე-2 მუხლს დაემატოს „მე-6" პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მორიგე დაცვის თანამშრომელი ყოველი თვის 1-5 რიცხვებში ვალდებულია მოახდინოს შესაბამის შენობა-ნაგებობებში განლაგებული ფხვნილოვანი და ნახშირორჟანგიანი ცეცხლმაქრების, ასევე სათადარიგო ცეცხლმაქრების ვიზუალური დათვალიერება ცეცხლმაქრის კორპუსზე წარწერების დაუზიანებლობაზე და ჟანგის არარსებობაზე, ასევე განახორციელოს გამართულობის გაკონტროლება და პროფილაქტიკური ღონისძებები: ფხვნილოვან ცეცხლმაქრებში - წნევის მაჩვენებელის შემოწმება (ისარი უნდა იყოს მწვანე სექტორში) და ფხვნილის ჩაქვავების თავიდან ასაცილებლად მათი პროფილაქტიკური შენჯღრევა/გადატრიალებ-გადმოტრიალება 2-3 ჯერ; ნახშიროჟანგიანი ცეცხლმაქრის წონის შემოწმება (გამართულ ცეცხლმაქი არ უნდა იკლებდეს წონაში საწყის ნომინალურ წონაზე 5%-ზე მეტით). აღნიშნული ქმედებების განხორციელების შემდეგ მორიგე დაცვის თანამშრომელი ავსებს შესაბამის ჩეკლისტს (წინამდებარე სამუშაო აღწერილობაზე თანდართული ფორმა №3 და №4), ხელწერით ადასტურებს შემოწმების და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების ფაქტს.".

გ) მე-2 მუხლს დაემატოს ფორმა №3 - „ფხვნილოვანი ცეცხლმაქრის ყოველთვიური შემოწმების ჩეკლისტი" და ფორმა №4 - „ნახშირორჟანგიანი ცეცხლმაქრის ყოველთვიური შემოწმების ჩეკლისტი" წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული ფორმა №3 და ფორმა №4 შასაბამისად.

2. ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა და დაცვის განყოფილების უფროსმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაცვის განყოფილების პერსონალისათვის.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები"; „სტრუქტურული ერთეულები").

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

„„ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 14 ივლისის №01-10/89 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 16 მარტის №01-10/30 ბრძანების

ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების
პერსონალის სამუშაო აღწერილობის

ფორმა №3

ფხვნილოვანი ცეცხლმაქრის

ყოველთვიური შემოწმების

ჩ ე კ ლ ი ს ტ ი

ცეცხლმაქრის სერიული ნომერი ----------

თარიღი	ვიზუალურად დაზიანებები არ აღინიშნება	წნევის მაჩვენებელი მწვანე სექტორშია	განხორციელდა შენჯღრევა/გადატრიალება -გადმოტრიალება 2-3 ჯერ	შემსრულებლის ხელწერა
202___ წელი				
01-05 სექტემბერი				
01-05 ოქტომბერი				
01-05 ნოემბერი				
01-05 დეკემბერი				
202___ წელი				
01-05 იანვარი				
01-05 თებერვალი				
01-05 მარტი				
01-05 აპრილი				
01-05 მაისი				
01-05 ივნისი				
01-05 ივლისი				
01-05 აგვისტო				

„„ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 14 ივლისის №01-10/89 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 16 მარტის №01-10/30 ბრძანების

ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების
პერსონალის სამუშაო აღწერილობის

ფორმა №4

ნახშირორჟანგიანი ცეცხლმაქრის

ყოველთვიური შემოწმების

ჩ ე კ ლ ი ს ტ ი

ცეცხლმაქრის სერიული ნომერი ----------

თარიღი	ვიზუალურად დაზიანებები არ აღენიშნება	წონა შემოწმებულია და შეესაბამება ნომინალს	შემსრულებლის ხელწერა
202___ წელი			
01-05 სექტემბერი			
01-05 ოქტომბერი			
01-05 ნოემბერი			
01-05 დეკემბერი			
202__ წელი			
01-05 იანვარი			
01-05 თებერვალი			
01-05 მარტი			
01-05 აპრილი			
01-05 მაისი			
01-05 ივნისი			
01-05 ივლისი			
01-05 აგვისტო			